სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის
დეპარტამენტი

# მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში

29 სექტემბერი, 2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

# სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია ..... 3

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები ..... 4
1. შემოსავლები ..... 4
2. ხარჯები ..... 5

III. მონიტორინგის შედეგები ..... 6
1. შემოწირულებების, საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების, განცხადებებისა და მედიამონიტორინგის შედეგების შესწავლა ..... 6
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები ..... 7

# I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო პერიოდში მიღებული შემოსავლების, გაწეული ხარჯებისა და განხორციელებული ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის შედეგების შესახებ.

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას იღებს 43 პარტია[1] და 68 დამოუკიდებელი კანდიდატი.

საარჩევნო სუბიექტებს, საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და საქართველოს გენერალური აუდიტორის ბრძანების[2] შესაბამისად, განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის შესახებ ფინანსური ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით – 26 აგვისტომდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 23 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით – 16 სექტემბრამდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 13 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით – 7 ოქტომბრამდე;
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან 2 ოქტომბრის ჩათვლით – 14 ოქტომბრამდე (იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა);
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე – შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში (არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- პირველი ტურის კენჭისყრის დღის (2 ოქტომბერი) შემდგომ განხორციელებული საქმიანობის ფინანსური ანგარიში – მეორე ტურის გამართვის დღემდე 3 დღით ადრე (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- ინფორმაცია 2021 წლის 2 აგვისტოდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის ჩათვლით – მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა).

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაახლა პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესი, შესაბამისი ცვლილებები შევიდა ანგარიშგების ფორმებში. ცვლილებების შედეგად ანგარიშგების ფორმებს დაემატა ფორმა - სესხის/კრედიტის შესახებ; შემოსავლის ფორმაში ჩაემატა ჩანაწერი გენდერული ნიშნით მიღებულ დაფინანსებასთან დაკავშირებით; ამოღებულ იქნა ფორმა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოყოფილი დაფინანსების შესახებ; დაიხვეწა საარჩევნო კამპანიის ფონდის განმარტება და შესაბამისი რეგულაციები; ცალკე მუხლად გაიწერა დოკუმენტბრუნვის წესი. განახლებული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე და გაეგზვნა ყველა საარჩევნო სუბიექტს.

2021 წლის 17 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა მათ მიერ შესასრულებელი მიმდინარე ანგარიშგების ვალდებულებები და საკონონმდებლო სიახლეები. შეხვედრას 26 პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

2021 წლის 17 სექტემბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მიმდინარე პერიოდის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, შემოსული განცხადებებისა და შემოწირულებების შესწავლის სტატუსები და სხვ.

---

1 პარტიების მიერ წარდგენილია: 18,896 კანდიდატი პარტიული სიით (საკრებულოს პროპორციული არჩევნები), 2,713 კანდიდატი (საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნები), 227 კანდიდატი (თვითმმართველი თემის, თვითმმართველი ქალაქის და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერის არჩევნები).

2 „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს N012036/21 ბრძანება.

# II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

## 1. შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემოწირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება.

წარმოდგენილი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების მიხედვით, ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით[3] პერიოდში მიღებულია 12,871,714 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

| N | საარჩევნო სუბიექტის დასახელება | საბიუჯეტო შემოსავალი | შემოწირულება | სხვა შემოსავალი | ჯამური შემოსავალი[4] |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 428 335 | 7 837 030 | 22 505 | 8 287 870 |
| 2 | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | 183 303 | 543 182 | 48 219 | 774 704 |
| 3 | გახარია - საქართველოსთვის | - | 755 711 | 890 | 756 601 |
| 4 | ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 93 701 | 74 262 | 500 000[5] | 667 963 |
| 5 | გირჩი | 577 218 | - | - | 577 218 |
| 6 | ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 369 043 | - | - | 369 043 |
| 7 | ლელო საქართველოსთვის | 66 963 | 824 997 | 4 000 | 895 960 |
| 8 | დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 86 927 | 34 360 | - | 121 287 |
| 9 | მესამე ძალა | 78 327 | 22 500 | - | 100 827 |
| 10 | დანარჩენი სუბიექტები | 89 179 | 227 948 | 3 115 | 320 242 |
| | ჯამი | 1 972 996 | 10 319 989 | 578 729 | 12 871 714 |

სულ შემოსავლები




შემოწირულება (მათ შორის)




3 ორი 3-კვირიანი პერიოდი.

4 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა შემოსავლები აღემატება 100,000 ლარს.

5 კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი.

## 2. ხარჯები

საარჩევნო სუბიექტების მიერ 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით[6] პერიოდში ჯამურად დახარჯულია 11,084,561 ლარი, კერძოდ:

| N | საარჩევნო სუბიექტის დასახელება | რეკლამა | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები[7] | ჯამური ხარჯი[8] |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 5 299 065 | 7 500 | 2 293 532 | 7 600 097 |
| 2 | ლელო საქართველოსთვის | 539 321 | 23 783 | 233 265 | 796 369 |
| 3 | გახარია - საქართველოსთვის | 336 566 | - | 367 038 | 703 604 |
| 4 | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | 65 950 | 81 748 | 373 606 | 521 304 |
| 5 | გირჩი | 124 741 | - | 329 589 | 454 330 |
| 6 | ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 72 497 | 13 534 | 244 931 | 330 962 |
| 7 | ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 190 879 | 14 343 | 8 182 | 213 404 |
| 8 | დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 34 262 | 64 797 | 26 888 | 125 947 |
| 9 | მესამე ძალა | 37 626 | 5 102 | 60 703 | 103 431 |
| 10 | დანარჩენი სუბიექტები | 73 362 | 82 550 | 79 201 | 235 113 |
| | ჯამი | 6 774 269 | 293 357 | 4 016 935 | 11 084 561 |







საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული შემოსავლებისა და ხარჯების გადამოწმების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მათ შედარებას საბანკო ამონაწერებთან და მედიამონიტორინგის შედეგებთან.

6 ორი 3-კვირიანი პერიოდი.

7 ოფისების იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები, მივლინების ხარჯები, კონფერენციების/ტრენინგების ხარჯები და სხვ.

8 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა საარჩევნო პერიოდის ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.

# III. მონიტორინგის შედეგები

## 1. შემოწირულებების, საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების, განცხადებებისა და მედიამონიტორინგის შედეგების შესწავლა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 926 ფიზიკური და 63 იურიდიული პირის შემოსავლების შესახებ. შემოსავლების დასაბუთების მიზნით, გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის გამოიკითხა 10 პირი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების შესწავლას როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო პერიოდში. არასაარჩევნო პერიოდში – 2021 წელს საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინეს ივნისის და ივლისის თვეების ფინანსური დეკლარაციები.

საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტებმა წარმოადგინეს 2 სამკვირიანი პერიოდის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშები. ანგარიშებმა მოიცვა 2021 წლის 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ყველა საარჩევნო სუბიექტის პირველი სამკვირიანი პერიოდის ანგარიშები და მიმდინარეობს მე-2 სამკვირიანი პერიოდის ანგარიშების შესწავლა.

დეკლარაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით – ნაღდი ანგარიშსწორებით[9] შემოწირულების განხორციელების ორი ფაქტი. აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა შესაბამისი რეაგირება და მიმართა საარჩევნო სუბიექტებს დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე. ამ ეტაპისთვის ერთი დარღვევა გამოსწორებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმდინარეობს მუშაობა დარღვევის აღმოფხვრაზე.

საარჩევნო კამპანიის მონიტორინგის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის მონაცემების და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, მიმდინარეობს 3 საქმის წარმოება.

9 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

## 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

- 2021 წლის 2 აგვისტოდან 16 აგვისტომდე პერიოდში, პოლიტიკურ პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა და 5-მა იურიდიულმა პირმა, ჯამში, 714,000 ლარი შესწირა.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოითხოვა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან ზემოაღნიშნული შემომწირველი პირების შემოსავლების შესახებ. ინფორმაცია შემომწირველი იურიდიული პირების შესახებ მიღებულია. ინფორმაციის თანახმად, იურიდიულ პირებს დეკლარირებული აქვთ საკმარისი შემოსავლები შემოწირულების განსახორციელებლად. შემომწირველი ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, დადგინდება განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება.

- პოლიტიკურმა პარტიამ „გირჩი“ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე წარმომადგენელთა შერჩევის მიზნით, გამოაცხადა ვაკანსია 60 საარჩევნო ოლქის წევრის პოზიციაზე და მათ შესავსებად ჩაატარა ე.წ. შემოწირულების აუქციონები. ანალოგიური აუქციონები ჩაატარა საარჩევნო საუბნო კომისიის წევრის პოზიციის დასაკავებლადაც. აღნიშნული აუქციონის მოგების შემთხვევაში, ანგარიშსწორება შესაძლებელი იყო გირჩის პორტალიდან ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესიის - „ბიბლიური თავისუფლების“ საბანკო ანგარიშებზე.

  პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლიდერების საჯარო განცხადებების თანახმად, მიღებული თანხით გათვალისწინებულია საარჩევნო კამპანიის დაფინანსება.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოითხოვა ინფორმაცია კომერციული ბანკებიდან „ბიბლიური თავისუფლების“ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

- 2021 წლის სექტემბერში ქვეყნის მასშტაბით გარე რეკლამისათვის განკუთვნილ ადგილებში განთავსდა პოლიტიკური შინაარსის ბანერები წარწერით – „არა ნაცებს, არა ბოროტებას, არა ღალატს“. აღნიშნულ ბანერებზე განთავსებული მასალა მიმართულია რამდენიმე პოლიტიკური ძალის მხარსაჭერისგან თავის შეკავებისკენ.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნული ბანერების განთავსების მიზნით გაწეული ხარჯის კანონიერების დასადგენად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია ბანერების განთავსების ადგილების მფლობელი კომპანიისგან[10] ბანერების დამკვეთის, მათი განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების, ტირაჟის, განთავსების ხანგრძლივობისა და ღირებულების შესახებ.

10 შპს „ალმა“

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
WWW.MONITORING.SAO.GE
SAO.GE